სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი №04/18

ქ. თბილისი **25.07.2018**

სხდომა დაიწყო: 18:10 სთ-ზე **სხდომა დასრულდა: 20:40 სთ-ზე**

ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 25 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში, მდებარე ქ. თბილისში, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №33.

ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით, ეთიკის კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გია ტაბლიაშვილი. ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა კანონისა და წესდების მოთხოვნების სრული დაცვით, ამის გამო არც ერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებიან ეთიკის კომისიის წევრები:

1. გია ტაბლიაშვილი
2. ანა ხურციძე
3. ანა ლორია
4. თორნიკე ბაქრაძე
5. მარიკა არევაძე
6. ხათუნა ჩხაიძე
7. კონსტანტინე გელაშვილი
8. ირაკლი კორძახია
9. ია გაბედავა
10. არჩილ ჩოფიკაშვილი
11. ბესარიონ ბოხაშვილი

ბესარიონ ბოხაშვილი სხდომაში მონაწილეობს დისტანციურად, სკაიპის მეშვეობით. სხდომას 19:40 სთ-დან შემოუერთდნენ კომისიის წევრები: ქეთევან უტიაშვილი, ინგა სეხნიაშვილი.

ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებიან ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტი თამარ ხუბულური და იურისტები: მედეა ინასარიძე და ხატია ჩოგოვაძე.
სხდომის თავმჯდომარემ გია ტაბლიაშვილმა აღნიშნა, რომ ასოციაციის წესდების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა“. სხდომას ესწრება ეთიკის კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა, 8 კომისიის წევრი, ამდენად, სხდომა კანონისა და წესდების შესაბამისად გადაწყვეტილებაუნარიანია.

წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ეთიკის კომისიის წევრს, თორნიკე ბაქრაძეს, რომელსაც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი თამარ ხუბულური.

სხდომის თავმჯდომარემ გია ტაბლიაშვილმა ეთიკის კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

ეთიკის კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:

1. *2018 წლის 11 ივლისს ეთიკის კომისიაში შემოსული აღმასრულებელი საბჭოს მომართვის განხილვა ეთიკის კომისიის აპარატში ცვლილების განხორციელების წინადადების შესახებ.*
2. *,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა.*
3. *კანონში შესული ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვის საკითხები და დებულების კანონთან შესაბამისობაში მოყვანისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი.*
4. *საიტის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები: საჩივრის არსებული ფორმის გადახედვა, დისციპლინირებულ ადვოკატთა სიის საიტზე განთავსების საჭიროება.*
5. *მტკიცების სტანდარტი საპროცესო და განხილვის ეტაპზე, მტკიცების ტვირთის განაწილება.*
6. *ერთგვაროვანი პრაქტიკისთვის გამოცდილების გაზიარება.*
7. *უცხოელი ექსპერტების რჩევების განხილვა.*
8. *ადვოკატის გვარის საჯაროდ გამოქვეყნების ვადაზე შეთანხმება.*
9. *დონორებისთვის ეთიკის კომისიის საჭიროებების განხლვა.*

კომისიამ სხდომა დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვით:

საკითხი 1 - 2018 წლის 11 ივლისს ეთიკის კომისიაში შემოსული აღმასრულებელი საბჭოს მომართვის განხილვა ეთიკის კომისიის აპარატში ცვლილების განხორციელების წინადადების შესახებ

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ეთიკის კომისიას 2018 წლის 11 ივლისს მომართა აღმასრულებელმა საბჭომ ეთიკის კომისიის აპარატში ცვლილების განხორციელების წინადადების შესახებ, კერძოდ ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის შტატის შემოღების თაობაზე. მომართვას ერთვის მოცემული შტატის სამუშაო აღწერილობა. ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მიმართა წევრებს მოსაზრებები გამოეთქვათ მოცემულ საკითხზე.

კომისიის წევრი მარიკა არევაძე ეთანხმება აღმასრულებელი საბჭოს წინადადებას ეთიკის კომისიის აპარატში შეიქმნას ახალი საშტატო ერთეული - ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი. მისი მოსაზრებით, ახალი საშტატო ერთეულის შემოღება განტვირთავს ეთიკის კომისიას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საჩივრების რიცხვი გაიზარდა. მარიკა არევაძის მოსაზრებით, მოცემული საშტატო ერთეულის ფუნქციები, ორი ფუნქციის გარდა, თანხვედრაშია ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი

იურისტის ფუნქციებთან, თუმცა ახალ საშტატო ერთეულს ექნება როგორც მენეჯერული, ასევე იურიდიული ფუნქციები, რაც მისთვის მისაღებია. მარიკა არევაძემ განმარტა, რომ ვინაიდან 19:00 სთ-ზე გადაცემა ჰქონდა რადიოში, რომელსაც ვერ გადადებდა, უწევდა ეთიკის კომისიის სხდომის დატოვება და ითხოვა მისი პოზიცია კენჭისყრის დროს გაეთვალისწინებინათ ან საკითხების 20:00 სთ-ის შემდეგ კენჭისყრის შემთხვევაში მასთან დაერეკათ. 18:20 სთ-ზე მარიკა არევაძემ დატოვა ეთიკის კომისიის სხდომა.

კომისიის წევრის ანა ლორიას მოსაზრებით, ეთიკის კომისიის უფროსი იურისტისა და ეთიკის კომისიისთვის აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემოთავაზებული ახალი საშტატო ერთეულის - აპარატის უფროსის სამუშაო აღწერილობა მცირე სხვაობის გარდა ერთნაირია და არ მიაჩნია მიზანშეწონილად ეთიკის კომისიის აპარატში ორი, ანალოგიური ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულის არსებობა. ამასთან, ანა ლორია არ დაეთანხმა კომისიის წევრის მარიკა არევაძის მოსაზრებას, რომ ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეულის შემოღებით (რომელსაც ეთიკის კომისიის აპარატში უკვე არსებულ უფროსი იურისტის ანალოგიური ფუნქციები აქვს) განიტვირთება ეთიკის კომისიის საქმიანობა და განმარტა, რომ ამ საკითხზე უკვე იმსჯელა ეთიკის კომისიამ 2018 წლის 09 ივლისის სხდომაზე და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, იურისტის მეხუთე საშტატო ერთეულის დამატების თაობაზე საბჭოსთვის წარდგინების შესახებ. მითითებული გადაწყვეტილებით, საბჭოსათვის გაკეთდა წარდგინება, რომ ეთიკის კომისიის აპარატს დაემატოს ერთი იურისტის შტატი და არა დამატებითი რგოლი, რომლის საჭიროებაც ამ ეტაპზე ეთიკის კომისიის აპარატს არ აქვს. ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტის ფუნქციებს არსებული იურისტი წარმატებით ასრულებს და იგივე ფუნქციების სხვა შტატისთვის დაკისრება მიუღებელია. ანა ლორიას განმარტებით, მოცემული საშტატო ერთეულის შემოღებით კომისია ფუნქციებს ართმევს მოქმედ უფროს იურისტს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მაშინ, როდესაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა სათითაოდ განმარტა, რომ მოქმედი ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტი არაჩვეულებრივად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ანა ლორიამ განმარტა, რომ მისთვის ბუნდოვანია საიდან წამოვიდა ეს ინიციატივა და რა არის რეალური მიზანი ამ ახალი საშტატო ერთეულის შემოღების. აქედან გამომდინარე, ანა ლორია განმარტავს, რომ მისთვის ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა მოცემულ შემოთავაზებასთან დაკავშირებით, ვერ ხედავს ვერანაირ საჭიროებას ორი, იდენტური ფონქციების მატარებელი საშტატო ერთეულის არსებობისა, მაშინ, როდესაც ყველა ერთხმად თანხმდება, რომ პრეტენზიები არ აქვთ მოქმედ უფროს იურისტთან და არაჩეულებრივად სრულდება უფროს იურისტზე დაკისრებული მოვალეობები ერთი საშტატო ერთეულის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ანა ლორია წინააღმდეგია აპარატის უფროსის შტატის შემოღებაზე. ამასთან, ანა ლორია დაეთანხმა ირაკლი კორძახიას მოსაზრებას, რომ თუ პრობლემა საშტატო ერთეულის სახელწოდებაშია, მაშინ შეიცვალოს ამ პოზიციის დასახელება და მოქმედ უფროს იურისტს დაერქვას აპარატის უფროსი, ყოველგვარი დამატებითი შტატის შემოღების გარეშე.

კომისიის წევრის თორნიკე ბაქრაძის მოსაზრებით, ეთიკის კომისიის უფროსის შტატის შემოღება გაუადვილებს ეთიკის კომისიის უფროს იურისტს დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

ეთიკის კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას განმარტებით, აღმასრულებელი საბჭო სხდომის ოქმში აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის შტატის შემოღება ეთიკის კომისიას

განსახილველად გადმოუგზავნა ასოციაციაში დამკვიდრებული ტრადიციისა და ეთიკის კომისიის წევრთა მიმართ კოლეგიალობისა და პატივისცემის გათვალისწინებით, ირაკლი კორძახიას მოსაზრებით ეს არის არა კეთილი ნება და დამკვიდრებული ტრადიცია, არამედ ეს არის წესდების 21.7 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად ეთიკის კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საშტატო განრიგს აღმასრულებელი საბჭო. ეთიკის კომისიიდან უნდა მიდიოდეს აღმასრულებელ საბჭოში წარდგინება და არა პირიქით. შეიძლება საბჭოს ჰქონდეს შეკითხვა, შეთავაზება, მაგრამ პროცედურულად საშტატო განრიგზე საბჭომ უნდა იმსჯელოს ეთიკის კომისიის წარდგინების შემდეგ წესდების შესაბამისად. წესდების ეს ჩანაწერი უზრუნველყოფს ეთიკის კომისიის დამოუკიდებლობას. რაც შეეხება აპარატის უფროსის დამატებას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა 09 ივლისს სხდომაზე, რომ ეთიკის კომისია გადატვირთულია და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება იურისტის მეხუთე საშტატო ერთეულის დამატებაზე საბჭოსთვის წარდგინების შესახებ. ეთიკის კომისიას არასდროს ჰყოლია სრულ საშტატო ერთეულზე ხუთი იურისტი და თუ აღმასრულებელი საბჭო გაითვალისწინებს ეთიკის კომისიის წარდგინებას და დაამატებს მეხუთე საშტატო ერთეულს, ეს განტვირთავს ეთიკის კომისიას. ეს იყო ამ წარდგინების მიზანი. ჯერ არ ჰყავს ეთიკის კომისიას მეხუთე იურისტი. თუ კომისიის წარდგინება დაკმაყოფილდება, თუმცა საქმეთა რიცხვიდან გამომდინარე არ იქნება საკმარისი მეხუთე იურისტი, კომისიას შემდეგ შეუძლია იმსჯელოს მეექვსე იურისტის დამატების შესახებ.

ირაკლი კორძახიას მოსაზრებით მთავარია არა პოზიციის დასახელება, არამედ სამუშაო აღწერილობა. აღმასრულებელი საბჭოს მიერ შეთავაზებული ფუნქციებით ეთიკის კომისიის უფროსი იურისტისა და აპარატის უფროსის ფუნქციების 95 % იდენტურია, მხოლოდ შემდეგი ფუნქცია არის განსხვავებული - ეთიკის კომისიის გაძლიერების მიზნით მიმდინარე და განხორციელებული პროექტების კოორდინაცია და პარტნიორ ორგანიზაციებთან მუშაობა. ამ ფუნქციას როგორც წესი, აქამდე ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ასრულდებდა ეთიკის კომისიის აპარატთან კოორდინაციით. სამსჯელოა რამდენად სურს ეთიკის კომისიას ეს ფუნქცია ეთიკის კომისიის თავმჯდომარიდან გადავიდეს ეთიკის კომისიის აპარატზე. ეთიკის კომისიაში სამმაგი მენეჯმენტია ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, კოლეგიათა თავმჯდომარეებისა და აპარატის უფროსი იურისტის სახით. ვინაიდან შემოთავაზებული ვერსიით ფუნქციათა 95 % მთავარი იურისტისა მინიჭებული აქვს აპარატის უფროსს, უფროსი იურისტი რჩება ფუნქციების გარეშე. ამას ჰქვია არასასურველი კადრისგან ორგანიზაციის დაცლა. სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით ჩამოყალიბებულია და აღმასრულებელი საბჭოს ამ გადაწყვეტილებაში ამ მხრივაც ჩანს პრობლემა. თუ პოზიციის სახელის შეცვლაა პრობლემა, უფროსი იურისტის შტატს დაერქვას ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი, ხოლო თუ ისაა პრობლემა, რომ დონორებთან ურთიერთობის ფუნქცია თავმჯდომარიდან გადავიდეს აპარატზე, ეთიკის კომისიის აპარატის უფროს იურისტს მიენიჭოს ეს ფუნქცია. ირაკლი კორძახია წინააღმდეგია ახალი საშტატო ერთეულის სახით აპარატის უფროსის შტატის შემოღებაზე და მიაჩნია უკანონობად, თუმცა ღიაა კომისიამ იმსჯელოს აპარატის უფროს იურისტს დაერქვას აპარატის უფროსი და დაემატოს ის ფუნქცია, რითიც განსხვავდება ახალი შემოთავაზებული საშტატო ერთეულის სამუშაო აღწერილობა უფროსი იურისტისგან - დონორებთან ურთიერთობა. თუმცა მისი მოსაზრებით, დონორებთან ურთიერთობაში ყოველთვის ჯობია კომისიას ეთიკის კომისიის თავმჯდომარე წარმოადგენდეს.

ეთიკის კომისიის წევრის კონსტანტინე გელაშვილის მოსაზრებით, აღმასრულებელი საბჭოს წინადადების გაზიარებით არ იზღუდება არსებული საშტატო ერთეულების უფლებები. შემოთავაზებული შტატის შემოღება განტვირთავს ეთიკის კომისიის საქმიანობას, თუნდაც შეასრულოს მხოლოდ ის განსხვავებული ფუნქციები, რაც აქვს ეთიკის კომისიის უფროს იურისტთან შედარებით. კონსტანტინე გელაშვილი თანახმაა ეთიკის კომისიის აპარატს დაემატოს ერთი ახალი საშტატო ერთეული - ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი.

ეთიკის კომისიის წევრის ია გაბედავას მოსაზრებით, მისთვის დაუსაბუთებელია პოზიცია, რომლის თანახმად ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ნაცვლად დონორებთან ურთიერთობაში წარმომადგენელი უნდა იყოს აპარატის იურისტი. მისი პოზიციით კომისია უნდა მოემზადოს და უფრო მომზადებული პოზიციებით განიხილოს საბჭოს წინადადება. ამ ეტაპზე ბოლომდე გასაგები არ არის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამუშაო აღწერილობა.

ეთიკის კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის განმარტებით, ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებობს ისეთი ორგანოები, რომელიც სარგებლობენ განსაკუთრებული დამოუკიდებლობით. იგი ორი ასეთი ორგანიზაციის წევრია და თითოეულ მათგანს ჰყავს თავისი სამდივნო. ამ სამდივნოში გარდა იურისტებისა, არსებობს ხელმძღვანლის პოზიცია. რატომ მიიჩნია ევროპის საბჭომ ასეთი რამე გაეკეთებინა, მაშინ როცა ევროპის საბჭო არ ერევა ამ სამდივნოს საქმიანობაში. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ეთიკის კომისიის აპარატთან დაკავშირებით, ვინაიდან ეთიკის კომისიის იურისტები არ არიან დაქირავებულნი ეთიკის კომისიის მიერ, ისინი არიან ადვოკატთა ასოციაციაში დასაქმებული პირები, თუმცა ისინი ფორმალურად პასუხისმგებელნი არიან ეთიკის კომისიის წინაშე. ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს შიდა მენეჯმენტი, ფინანსების მოზიდვა, პროექტების კეთება და ეთიკის კომისიის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა. ეთიკის კომისიის წევრი ბესარიონ ბოხაშვილი ვერ ხედავს პრობლემას შემოვიდეს ეს შტატი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასოციაციამ გამონახა მოცემული შტატის შესაბამისი ფინანსური რესურსი. ეთიკის კომისიის უფროსი იქნება აპარატის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებელი.

ირაკლი კორძახიას პოზიციით ბესარიონ ბოხაშვილის მიერ მითითებულ სამდივნოში უფროსი იურისტი არ ხელმძღვანელობს უმცროს იურისტს, ხოლო ეთიკის კომისიის აპარატში უფროს იურისტს აქვს როგორც მენეჯერული, ასევე იურიდიული ფუნქციები, უფროსი იურისტი ხელმძღვანელობს აპარატის სხვა იურისტებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ საქმიანობას. ამ შემთხვევაში კი მთავარი ფუნქციათა შინაარსია და არა პოზიციათა სახელწოდება. ამ შემთხვევაში რა საჭიროა ახალი შტატის შემოღება, არსებული საშტატო ერთეულისთვის სახელის შეცვლა უფრო სწორი იქნებოდა.

ეთიკის კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის განმარტებით, მან წესდების 21.7 მუხლის აღიქვა ისე, რომ როდესაც ეთიკის კომისია დაინახავს ადამიანური რესურსის საჭიროებას, ის მიმართავს აღმასრულებელ საბჭოს და გადაწყვეტილებას იღებს აღმასრულებელი საბჭო. ბესარიონ ბოხაშვილმა განმარტა, რომ მისთვის მისაღებია ეთიკის კომისიის აპარატს ჰყავდეს მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ასოციაციის წინაშე აპარატის გამართულად ფუნქციონირებაზე. ეს პირი იქნება არა იურისტი, არამედ მენეჯერი. იურიდიული კუთხით ეთიკის კომისიის აპარატის

გამართულად ფუნქციონირებაზე უფროსი იურისტი იყოს პასუხისმგებელი, ხოლო მენეჯერული კუთხით მენეჯერი, ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იყოს პასუხისმგებელი. იგი თანახმაა, ეთიკის კომისიის აპარატს ჰყავდეს მენეჯერი.

კომისიის წევრის ანა ხურციძის მოსაზრებით, აღმასრულებელი საბჭოს წინადადების მიხედვით ეთიკის კომისიის უფროსი იურისტისა და ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამუშაო აღწერილობის ძირითადი ნაწილი იდენტურია და მისთვის მიუღებელია მხარი დაუჭიროს მოცემული საშტატო ერთეულის შემოღებას ამ ფუნქციებით. თუ ეს პირი უნდა იყოს იურისტი, რომელიც იქნება მეხუთე იურისტი, მაშინ მენეჯერული ფუნქციები ჰქონდეს აპარატის უფროს იურისტს, ხოლო თუ ეს პირი იქნება მენეჯერი, რომელიც აღჭურვილი იქნება მენეჯერული ფუნქციებით, მაშინ ანა ხურციძე ვერ ხედავს პრობლემას, რატომ არ უნდა დაუჭიროს მხარი მოცემული პოზიციის შემოღებას, რადგან მისი შეფასებით ეთიკის კომისიის აპარატი შეიძლება შედგებოდეს როგორც იურისტებისაგან, ასევე მენეჯერებისგან, თანაშემწეებისგან და ა.შ თუ აღმასრულებელ საბჭოს სურს, რომ მენეჯერი ჰყავდეს აპარატს, მისი ფუნქციები თავიდან არის გასაწერი და მას უნდა ჰქონდეს მხოლოდ მენეჯერული ფუნქციები. შემოთავაზებული პოზიციის შემოღებაზე ანა ხურციძე თანახმაა, თუ ამ პოზიციას ექნება მხოლოდ მენეჯერული ფუნქციები და იქნება პასუხისმგებელი კოორდინაციაზე. ამ ეტაპზე ეთიკის კომისიის უფროს იურისტსა და ეთიკის კომისიის აპარატის უფროსს შორის ფუნქციები გასამიჯნია, ვინაიდან დაუშვებელია სხვადასხვა პოზიციის მქონე ადამიანებს ჰქონდეთ თანაბარი ფუნქციები. იდენტურობის შემთხვევაშიც კი ფუნქციებს შორის სიღრმე უნდა ჩანდეს. ანა ხურციძის განმარტებით, ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის შტატის შემოღებაზე თანახმაა თუ ნახავს მის ფუნქციებს, ხოლო შეთავაზებული დღევანდელი სამუშაო აღწერილობის პირობებში თანახმა არ არის.

ეთიკის კომისიის წევრის არჩილ ჩოფიკაშვილის მოსაზრებით, ჯერ ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს უნდა ჰკითხონ და შემდეგ ეთიკის კომისიის თითოეულ წევრს, რამდენად სურს მას მისი კონკრეტული ფუნქციები გადასცეს ეთიკის კომისიის აპარატს და შემდეგი შეკითხვა ექნებოდა ეთიკის კომისიის უფროს იურისტთან, რომელ ფუნქციებს ვერ ასრულებს იგი, რა სირთულეები აქვს ეთიკის კომისიის აპარატს და რაში სჭირდება მას ახალი ადამიანური რესურსის დამატება. თუ ამ ორ კითხვაზე მიიღებდა პასუხს, თუ კომისიის წევრები იტყოდნენ, რომ ფუნქცია ჩამორთმეოდა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს და გადასცემოდა აპარატს ან ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი იტყოდა, რომ სირთულეები ჰქონდა აპარატს, თუმცა იგი ამ ეტაპზე ვერ ხედავდა მზაობას, შესაბამის ნიადაგს, რომ მოცემული გადაწყვეტილებისთვის მხარი დაეჭირა. არჩილ ჩოფიკაშვილის მოსაზრებით, ეთიკის კომისია არჩეულია ადვოკატთა კორპუსის მიერ და არსებობს ფუნქციები, რომელიც უშუალოდ ეთიკის კომისიამ უნდა განახორციელოს და არა აპარატმა.

ეთიკის კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის განმარტებით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ფუნქციად არ აღიქვამს დონორებთან ურთიერთობას და შესაძლებლად მიაჩნია ეს გააკეთოს აპარატმა, მენეჯერმა, რომელიც იზრუნებს ასოციაციისთვის თანხების მოზიდვაზე.

ეთიკის კომისიის წევრის ხათუნა ჩხაიძის მოსაზრებით, მისთვის მისაღებია ეთიკის კომისიის აპარატში შემოვიდეს ახალი დამატებითი შტატი - ეთიკის კომისიის უფროსის სახით. ეს შტატი განტვირთავს ეთიკის კომისიის დატვირთულობას. ხათუნა ჩხაიძე ეთანხმება, რომ ეთიკის კომისიის

უფროსს ჰქონდეს წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობა და სამუშაო პროცესში გამოჩნდება, რამდენად არის მისი ფუნქციების შეცვლის საჭიროება.

ეთიკის კომისიის წევრის ანა ლორიას წინადადებით, რადგან ფუნქციები თანხვედრაშია, კომისიას შეუძლია განიხილოს ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტის შტატის სახელის ცვლილებისა და მისთვის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის წოდების საკითხი, რითიც გათვალისწინებული იქნება აღმასრულებელი საბჭოს წინადადებაც.

ეთიკის კომისიის წევრის ია გაბედავას მოსაზრებით, ახალ საშტატო ერთეულს თუ მენეჯერული ფუნქციები ექნება მაშინ იგი თანახმაა ეს საშტატო ერთეული შემოვიდეს. ია გაბედავასთვის ამ ეტაპზე მისაღებია აღმასრულებელი საბჭოს მიერ შეთავაზებული საშტატო ერთეული შეთავაზებული სამუშაო აღწერილობით.

ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის თამარ ხუბულურის განმარტებით, აპარატის უფროს იურისტსა და აპარატის უფროსის შემოთავაზებულ სამუშაო აღწერილობას შორის გარდა იმისა, რომ გადაკოპირებულია უფროსი იურისტის სამუშაო აღწერილობა, მაინც არის არსებითი სხვაობა, რაც გამოიხატება ერთ სიტყვაში - ზედამხედველობა ან კოორდინაცია, თუმცა გაურკვეველია რომელი საშტატო ერთეულის ადამიანური რესურსი უნდა დაიხარჯოს კონკრეტული ფუნქციის შესრულებისას, მაგალითად რას გულისხმობს საერთო კრებისთვის წლიური ანგარიშის მომზადების კოორდინაცია, აპარატის უფროსი კონკრეტულ შტატს ავალებს ანგარიშის მომზადებას და სხვა შტატის რესურსი იხარჯება თუ თავად ამზადებს მას. უფროსი იურისტის განმარტებით, ეთიკის კომისიაში 7 წელია მუშაობს, უმუშავია 3 სხვადასხვა შემადგენლობის ეთიკის კომისიასთან და მისთვის ბუნდოვანია ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის ფუნქცია შემოთავაზებული სამუშაო აღწერილობიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ ფუნქციათა 95 % აქვს ეთიკის კომისიის უფროს იურისტს და ეს შტატი მხოლოდ კონკრეტულ დავალებებს გასცემს, რაც ისედაც მოწესრიგებულია ეთიკის კომისიის თავმჯდომარეთა გადაწყვეტილებით კოლეგიებს შორის საქმეთა განაწილების ან იურისტებს შორის საქმეთა განაწილების წესის შესაბამისად? ფუნქციებში არსად ჩანს პირადად, საკუთარი ადამიანური რესურსის ხარჯვით რას აკეთებს ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი. ეთიკის კომისიის აპარატს უკვე ჰყავს ის ადამიანები, ვინც აპარატს უთითებს რა გააკეთოს: კერძოდ, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, კოლეგიათა თავმჯდომარეები, აღმასრულებელი მდივანი, ადმინისტრაციის უფროსი. ეს პირები პასუხისმგებელნი არიან ეთიკის კომისიის აპარატის ხარისხიან მუშაობაზე. მოცემულ პირთა წინაშე უკვე არის ეთიკის კომისიის აპარატი პასუხისმგებელი და მათ საქმიანობაში ვერ ჩაერევა აპარატის უფროსი და ვერავის, მათ შორის ვერც აპარატს მიუთითებს რომელი სხდომა როდის ჩაინიშნოს და რომელი პროექტი როდის უნდა დაიწეროს. კოლეგიის წევრებსა და ეთიკის კომისიის იურისტს შორის ურთიერთობაში შუალედური რგოლი ვერ შეიქმნება. მოცემული წინადადების შემოთავაზებამდე სასურველი იყო აღმასრულებელ საბჭოს განეხილა არსებული საშტატო ერთეულების ფუნქციები და არ მომხდარიყო არსებული საშტატო ერთეულის სამუშაო აღწერილობისთვის ახალ საშტატო ერთეულთან კოპირება, გარდა ამისა, დაუსაბუთებელია აღმასრულებელი საბჭოს ოქმში ასახული დასაბუთება, რომ აპარატში არსებობს კოორდინაციის პრობლემა იურისტებს შორის. აპარატის უფროსი იურისტი უარყოფს მსგავსი კოორდინაციის

პრობლემის არსებობას და თუ ასეთი პრობლემა არსებობდა, ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინათ ეთიკის კომისიის აპარატისთვის და არა აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმიდან გაეგო უფროს იურისტს მოცემული მოსაზრების არსებობა და განხილვა აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე. მოცემული წინადადებით რჩება შთაბეჭდილება, რომ აღმასრულებელი საბჭო ბოლომდე ინფორმირებული არ არის არსებული საშტატო ერთეულის ფუნქციების შესახებ. საქმეთა კოლეგიებს შორის განაწილებაზე არ იხარჯება ადამიანური რესურსი, ვინაიდან ეს საკითხი ეთიკის კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით არის მოწესრიგებული. უფროსი იურისტის მოსაზრებით, ეთიკის კომისიის აპარატს არ ესაჭიროება შემოთავაზებული საშტატო ერთეული, მაგრამ თუ კომისია მივა იმ დასკვნამდე, რომ მოცემული საშტატო ერთეული უნდა შემოვიდეს, ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს და თავიდანვე ნათელი იყოს კონკრეტული დავალების შესრულებისას რომელი საშტატო ერთეულის რესურსი დაიხარჯება. ამ შემთხვევაში აპარატისთვის, რომელსაც საქმეთა დიდი რიცხვი აწერია აინტერებს ვინ შეასრულებს კონკრეტულ ფუნქციას სამუშაო აღწერილოდან გამომდინარე, რომ ეს პროცესი არ დაემსგავსოს დავალების მიცემას და სხვის ნაცვლად მუშაობას. შემოთავაზებული სამუშაო აღწერილობა ამის დასკვნის საშუალებას არ იძლევა. ზედამხვედველობის ფუნქცია ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს ჰქონდა აქამდე და დღესაც აქვს.

ეთიკის კომისიის წევრის თორნიკე ბაქრაძის მოსაზრებით, ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის ფუნქციაში უნდა დარჩეს სამართლებრივი საკითხები, მათ შორის საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმომადგენლობა, მისთვის მისაღებია თუ ახალ შტატს ექნება მენეჯერული ფუნქციები, მათ შორის დონორებთან ურთიერთობა.

ეთიკის კომისიის წევრმა ირაკლი კორძახიამ უფროს იურისტს დაუსვა შეკითხვები ექვემდებარებოდა თუ არა აპარატის ყველა იურისტი ეთიკის კომისიის უფროს იურისტს, რამდენად შედიოდა მის ფუნქციებში და რამდენად ახორციელებდა იურისტების დისციპლინისა და საქმიანობის მონიტორინგს, თანამშრომლებს შორის ფუნქციათა გადანაწილებას, სამუშაო დატვირთულობის კონტროლს და ფუნქციების პერიოდულ ანალიზს. უფროსი იურისტი დაეთანხმა, რომ მოცემული ფუნქციები მისი სამუშაოს ნაწილია. ირაკლი კორძახიამ განმარტა, რომ მოცემული ფუნქციებიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის აპარატის უფროსს აქვს მენეჯერული ფუნქციები და აპარატის უფროსი იურისტი არის აპარატის უფროსი, მას ექვემდებარება აპარატის სამი იურისტი. თუ აპარატის უფროსს დაექვემდებარება უფროსი იურისტი, მას მისცემენ დავალებას და ის ვალდებული იქნება შეასრულოს მისი დავალებები, რაც რეალურად შტატის დაქვეითებას ნიშნავს. ფაქტიურად უფროსს იურისტს ართმევენ ფუნქციათა ნაწილს და ქმნიან ახალ შტატს, რაც ცვლის შტატის ფუნქციებს არსებითად და არღვევს მის შრომით უფლებებს. ამაზე საჭიროა არსებული საშტატო ერთეულის თანხმობა. ასეთ დროს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის შტატის შემოღებაზე იქნება შრომის კოდექსის დარღვევა.

ეთიკის კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის მოსაზრებით, იგი იზიარებს აღამასრულებელი საბჭოს წინადადებას და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მოცემული შტატის შემოღებით არ სუსტდება ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის პოზიცია. ამ შემთხვევაში შემოთავაზებულია მენეჯერის შტატის შემოღება და ამ ნაწილში მნიშვნელოვანია ფუნქციები იყოს გამიჯნული: ეთიკის კომისიის უფროსი პასუხისმგებელი უნდა იყოს მენეჯერულ გადაწყვეტილებებზე, ხოლო უფროსი

იურისტი პასუხისმგებელი უნდა იყოს სამართლებრივი მუშაობის ხარისხზე. აპარატის იურისტები არ უნდა იყვნენ ჩართულნი მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ეთიკის კომისიის წევრი ინგა სეხნიაშვილი ეთანხმება აპარატის უფროსის პოზიციის შემოღებას შემოთავაზებული ფუნქციებით.

ეთიკის კომისიის წევრი ქეთევან უტიაშვილი აზუსტებს აპარატის უფროსის შტატის შემოღება რამდენად გამოიწვევს აპარატის უფროსის საშტატო ერთეულისთვის ან იურისტთა საშტატო ერთეულების ფუნქციათა ცვლილებას. იგი არ ეთანხმება შემოთავაზებულ სამუშაო აღწერილობას, რადგან აქ ფუნქციები ორ საშტატო ერთეულთან დუბლირებულია, რაც პირიქით კოორდინირებულ მუშაობას შეუშლის ხელს. ქეთევან უტიაშვილი წინააღმდეგია დონორებთან ურთიერთობის ფუნქცია გადაებაროს ეთიკის კომისიის აპარატს. მისი მოსაზრებით, დონორებთან ურთიერთობაში ეთიკის კომისიას უნდა წარმოადგენდეს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, როგორც ეთიკის კომისიის წევრთა მიერ არჩეული და ნდობით აღჭურვილი პირი. ქეთევან უტიაშვილის განმარტებით, კომისია პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს მოცემული შტატის ფუნქციებზე, ეთიკის კომისიამ ჯერ უნდა გამიჯნოს შტატების ფუნქციები და შემდეგ განიხილოს მოცემული შტატის შემოღების საკითხი.

ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ხატია ჩოგოვაძის მოსაზრებით, მისთვის მნიშვნელოვანია მოცემული ახალი შტატის შემოღება რამდენად გამოიწვევს იურისტის ფუნქციათა შემსუბუქებას, ვინაიდან იურისტები პასუხისმგებელნი არიან ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის წინაშე, კოლეგიების თავმჯდომარეების წინაშე მათ წარმოებაში არსებული საქმეების ფარგლებში, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის წინაშე. ხატია ჩოგოვაძის განმარტებით, მას არ შექმნია საქმიანობის დროს განცდა, რომ მის საქმიანობას ვინმე ვერ აკონტროლებს ან სხვა იურისტებთან კოორდინირებულად მუშაობის პრობლემა დგას აპარატში. ამავე დროს, იურისტი ადმინისტრაციულად ექვემდებარება ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ადმინისტრაციის უფროსსა და აღმასრულებელ დირექტორს. აპარატს ყველა მიმართულებით ჰყავს უფროსი და დაზუსტდეს ვის მიმართ და რა ფორმით იქნება იურისტი პასუხისმგებელი, აპარატისთვის მნიშვნელოვანია გაირკვეს ახალი საშტატო ერთეულის სამუშაო როგორ განტვირთავს კომისიის საქმიანობას. ხატია ჩოგოვაძის პოზიციით, აღამასრულებელ საბჭოს მოცემული წინადადების შეთავაზებამდე უნდა გარკვია ზუსტად რა პრობლემის წინაშე დგას ეთიკის კომისიის აპარატი, კერძოდ ეს არის ხარისხიან გადაწყვეტილებათა დროულად მომზადება. ამ მხრივ არსებითია აპარატს დაემატოს ახალი საშტატო ერთეული იურისტის და არა მენეჯერი სახით, ვინაიდან იურისტების კონტროლი უკვე კარგად არის ასოციაციაში ადმინისტრირებული.

ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის მედეა ინასარიძის მოსაზრებით, კომისიის წევრებსა და აპარატს საერთო მიზანი და საქმე აქვთ, ამ შემთხვევაში აპარატის წინაშე არსებული პრობლემაა გადაწყვეტილებათა მომზადებისთვის არასაკმარისი ადამიანური რესურსი, აპარატს იურიდიული პრობლემა აქვს და მენეჯერული პრობლემა არ აქვს, მენეჯერის შემოღება ვერც კომისიის დატვირთვის ხარისხს და ვერც იურისტების საქმიანობას შეამცირებს და სასურველია კომისიამ იმ მიმართულებით იფიქროს, რაც არსებული პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება.

ეთიკის კომისიის წევრის ქეთევან უტიაშვილის მოსაზრებით, ის საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას წარმომადგენლობას აპარატის უფროს იურისტს თამარ ხუბულურს ანდობს, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე. აპარატის უფროსისთვის ამ ფუნქციის გადაბარება მისთვის მიუღებელია და ეს ფუნქცია მისთვის თამარ ხუბულურის მიერ განსახორციელებელ წარმომადგენლობას უკავშირდება.

კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას მოსაზრებით, ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის წარმოდგენილ ფუნქციათა აღწერაში აღრეულია როგორც მენეჯერული, ისე იურისტის ფუნქციები.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, აპარატის საშტატო ერთეულებს შორის ფუნქციები ცალსახად გასამიჯნია და სთხოვა წევრებს კომისია გადასულიყო კენჭისყრის ეტაპზე.

ეთიკის კომისიის წევრის თორნიკე ბაქრაძის მოსაზრებით კენჭი უნდა ეყაროს არა შემოსულ წინადადებას, არამედ მსჯელობის შედეგად გამოკვეთილ პოზიციებს. წარდგინების სახით გაიმიჯნოს ფუნქციები, აპარატის უფროს იურისტს ჰქონდეს იურიდიული ფუნქციები, ხოლო მენეჯერს, აპარატის უფროსს ადმინისტრაციული ფუნქციები. საქართველოს უზენაეს სასამართლოში კომისიის წარმომადგენლობის ფუნქცია უფროს იურისტს უნდა შეუნარჩუნდეს.

ეთიკის კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას ალტერნატიული წინადადებით ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის საშტატო ერთეულს უნდა შეეცვალოს სახელი და დაერქვას აპარატის უფროსი.

ეთიკის კომისიის წევრის ქეთევან უტიაშვილის განმარტებით, აღმასრულებელი საბჭოს წინადადებაში არსად ჩანს, რომ უფროს იურისტს ფუნქციათა ნაწილი უნდა ჩამოერთვას. მისი მოსაზრებით, ასევე მნიშვნელოვანია აპარატს დაემატოს ერთი იურისტის შტატი და თითოეულ კოლეგიას ჰყავდეს თითო იურისტი.

ეთიკის კომისიის წევრმა ანა ხურციძემ განმარტა, რომ მას უწევს სხდომის დატოვება, ის თანახმა არ არის არსებული ფუნქციებით მოცემული შტატის შემოღებაზე და შემდგომი პოზიცია იქნება ეს ფუნქციათა გამიჯვნა, საკითხის განხილვის გადადება თუ სხვა, იგი მხარს უჭერს. 20:20 სთ-ზე ანა ხურციძემ დატოვა ეთიკის კომისიის სხდომა.

ბესარიონ ბოხაშვილის განმარტებით, არსებობდა ალტერნატივა, რომ უფროსი იურისტის საშტატო ერთეულს შეეცვალოს სახელი, დაერქვას ეთიკის კომისიის უფროსი და ეს საკითხიც უნდა დამდგარიყო კენჭისყრაზე, როგორც ორი წევრის მიერ შეთავაზებული ალტერნატივა.

კეჭისყრაზე დადგა საკითხი:

2018 წლის 11 ივლისს ეთიკის კომისიაში შემოსული აღმასრულებელი საბჭოს მომართვის შესაბამისად, კერძოდ ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეულის შემოღება აღმასრულებელი საბჭოს შემოთავაზებული არსებული სამუშაო აღწერილობით.

გია ტაბლიაშვილი, ანა ხურციძე, ანა ლორია, თორნიკე ბაქრაძე, ხათუნა ჩხაიძე, კონსტანტინე გელაშვილი, ირაკლი კორძახია, ია გაბედავა, არჩილ ჩოფიკაშვილი, ბესარიონ ბოხაშვილი, ქეთევან უტიაშვილი, ინგა სეხნიაშვილი წინააღმდეგი, მარიკა არევაძე - თანახმა

<u>გადაწყვეტილება მიღებულია, კენჭრისყრის შედეგები - 12 ხმა წინააღმდეგი, ერთი ხმა თანახმა</u>

კენჭისყრაზე დადგა საკითხი:

უფროსი იურისტისა და აპარატის უფროსის ფუნქციათა ეთიკის კომისიის მიერ გამიჯვნის შემდეგ აპარატის უფროსის შტატის შემოღება.

თანახმა გია ტაბლიაშვილი, ანა ხურციძე, თორნიკე ბაქრაძე, ხათუნა ჩხაიძე, კონსტანტინე გელაშვილი, ია გაბედავა, ბესარიონ ბოხაშვილი, ინგა სეხნიაშვილი, წინააღმდეგი - ანა ლორია, ირაკლი კორძახია, არჩილ ჩოფიკაშვილი, ქეთევან უტიაშვილი, მარიკა არევაძე.

გადაწყვეტილება მიღებულია, კენჭრისყრის შედეგები - 8 ხმა თანახმა, 5 ხმა წინააღმდეგი

ეთიკის კომისიის წევრის ქეთევან უტიაშვილის განმარტებით, ეთიკის კომისიის მიერ ჯერ უნდა გაიმიჯნოს ფუნქციები და კონკრეტული სამუშაო აღწერილობის შემდეგ განიხილოს კომისიამ აპარატის უფროსის საკითხის შემოღება.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ფუნქციებს ეთიკის კომისია გამიჯნავს და წარდგინებით შესთავაზებს აღმასრულებელ საბჭოს.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი:

ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის შტატის შემოღების საკითხის განხილვის გადადება ეთიკის კომისიის მიერ ფუნქციათა გამიჯვნამდე.

თანახმა ირაკლი კორძახია, ქეთევან უტიაშვილი, ანა ლორია, არჩილ ჩოფიკაშვილი, ია გაბედავა, ანა ხურციძე, წინააღმდეგი - გია ტაბლიაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ხათუნა ჩხაიძე, კონსტანტინე გელაშვილი, ბესარიონ ბოხაშვილი, ინგა სეხნიაშვილი, მარიკა არევაძე.

გადაწყვეტილება არ არის მიღებული, კენჭრისყრის შედეგები - 6 ხმა თანახმა, 7 ხმა წინააღმდეგი

ირაკლი კორძახიამ კენჭისყრამდე მოხსნა ალტერნატივა, რომელიც ითვალისწინებდა ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის საშტატო ერთეულისთვის სახელწოდების შეცვლასა და ეთიკის კომისიის უფროსის წოდებას.

ამოიწურა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვა. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით გადაიდო ეთიკის კომისიის სხდომა აპარატის უფროსისა და აპარატის უფროსის ფუნქციათა ეთიკის კომისიის მიერ გამიჯვნის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, ეთიკის კომისიამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი და გადაწყვეტილების თანახმად, ჩაინიშნება ეთიკის კომისიის სხდომა, სადაც კომისია განხილავს აპარატის უფროსის სამუშაო აღწერილობას და გამიჯნავს ფუნქციებს აპარატის უფროსი იურისტის სამუშაო აღწერილობისგან. დანარჩენი საკითხები ანალიზისთვის და განხილვისთვის დამატებით დროს მოითხოვს და დღის წესრიგით გათვალისწინებული დანარჩენი საკითხების განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

კომისიის სხდომა გამოცხადდა დახურულად.

დანართი:

1. ეთიკის კომისიის იურისტის სამუშაო აღწერილობა
2. ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის სამუშაო აღწერილობა
3. ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამუშაო აღწერილობა (პროექტი)

/გია ტაბლიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარე

/თორნიკე ბაქრაძე/

სხდომის მდივანი

დანართი N1

საშტატო ერთეული: ეთიკის კომისიის იურისტი
სტრუქტურული ერთეული: ეთიკის კომისიის აპარატი
ექვემდებარება: უფროსი იურსიტი

სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი (საჭიროებისამებრ დამატებით)
სამუშაო დრო: სრული განაკვეთი

ძირითადი ფუნქციები:

- ✓ კომპეტენციის ფარგლებში მოქალაქეთა კონსულტაცია;
- ✓ შემოსული საჩივრის რეგისტრაციაში გატარება და შემდგომი საბუთბრუნვის უზრუნველყოფა;
- ✓ ეთიკის კომისიისთვის ზეპირად ან წერილობით დასმულ შეკითხვებზე ადოკატებისთვის პასუხის გაცემა;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული თემატიკის მიხედვით, შემოსულ საქმეებზე პასუხის მომზადება და ადრესატთან კომუნიკაცია;
- ✓ ეთიკის კომისიაში არსებული დისციპლინური საქმის მონაწილე პირებთან კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მხარეებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა;
- ✓ მიმდინარე დისციპლინური საქმეების ტექნიკურად მოწესრიგების უზრუნველყოფა;
- ✓ შემოსულ საჩივრებზე სხდომების ორგანიზება, შესაბამისი დოკუმენტაციის და სხვა საჭირო მასალების უზრუნველყოფა და სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე განხილვის სხდომების ორგანიზება და სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება;

- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე გადაწყვეტილების პროექტების მომზადება;
- ✓ კოლეგიების შეხვედრების ტექნიკური უზრუნველყოფა და სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება;
- ✓ ინფორმაციის მოძიება კომისიის პრეცენდენტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ;
- ✓ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის განვითარების კუთხით, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკების მოძიება და თარგმნა;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე არქივის მოწესრიგება;
- ✓ რეკომენდაციათა რეგისტრაცია და შემდგომი წარმოება;
- ✓ ეთიკის კომისიის მიერ წერილობითი ფორმით გაცემულ რეკომენდაციათა პროექტების მომზადება;
- ✓ ყოველთვიურად გაცემული რეკომენდაციების სტატისტიკის წარმოება;
- ✓ ასოციაციის ჟურნალისთვის მასალების მომზადება;
- ✓ ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდისთვის შესაბამისი ინფორმაციის მოძიება/მომზადება და განთავსების მიზნით, პასუხისმგებელი პირისთვის გადაგზავნა;
- ✓ საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სახის ანგარიშების მომზადება;
- ✓ კომისიის გასვლითი შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ ეთიკის კომისიის რეკომენდაციათა ცხელი ხაზის ადმინისტრირება;
- ✓ ეთიკის კომისიის ცხელი ხაზის მეშვეობით გაცემულ რეკომენდაციათა წერილობითი ფორმით მომზადება;
- ✓ საჭირობის შემთხვევაში, საქმის მასალების დანომვრა, დასათუარება, დასკანერება, ასლების გადაღების უზრუნველყოფა;
- ✓ ეთიკის კომისიის მიმდინარე საქმეების ელექტრონული ცხრილის წარმოება;
- ✓ ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამაში მუშაობა;
- ✓ კომპეტენციის ფარგლებში ასოციაციაში შემოსულ კორეპონდენციებზე პასუხების მომზადება;
- ✓ ეთიკის კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება.
- ✓ კომისიის, კოლეგიის თავმჯდომარის ან სხვა უფლებამოსილი წევრის მითითებით სხვა ნებისმიერი დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საჩივრის განხილვასთან.

დანართი N2

სამუშაო აღწერილობა

საშტატო ერთეული: ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი
სტრუქტურული ერთეული: ეთიკის კომისიის აპარატი
ექვემდებარება: აღმასრულებელი მდივანი
სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი (საჭიროებისამებრ დამატებით)
სამუშაო დრო: სრული განაკვეთი

ძირითადი ფუნქციები:

- ✓ მოქალაქეთა კონსულტაცია;
- ✓ შემოსული საჩივრის რეგისტრაციაში გატარება და შემდგომი საბუთბრუნვის უზრუნველყოფა;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული თემატიკის მიხედვით, შემოსულ საქმეებზე პასუხის მომზადება და ადრესატთან კოომუნიკაცია;
- ✓ საპროცესო ეტაპზე შემოსულ საჩივრებზე სხდომების ორგანიზება, შესაბამისი დოკუმენტაციის და სხვა საჭირო მასალების უზრუნველყოფა, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება და საქმეთა განაწილების შესაბამისად, აპარატის სხვა იურისტებისათვის მათ წარმოებაში არსებული საქმეების შედეგებზე ინფორმაციის მიწოდება;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე განხილვის სხდომების ორგანიზება, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება;

- ✓ ინფორმაციის მოძიება კომისიის პრეცენდენტებისა და საერთაშორისო პრაქტიკების შესახებ;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე გადაწყვეტილების პროექტების მომზადება;
- ✓ ეთიკის კომისიაში არსებული დისციპლინური საქმის მონაწილე პირებთან კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მხარეებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა;
- ✓ კომისიის, კოლეგიის თავმჯდომარის ან სხვა უფლებამოსილი წევრის მითითებით სხვა ნებისმიერი დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საჩივრის განხილვასთან;
- ✓ კოლეგიების შიდა შეხვედრების ტექნიკური უზრუნველყოფა და სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე არქივის მოწესრიგება;
- ✓ მიმდინარე დისციპლინური საქმეების ტექნიკურად მოწესრიგების უზრუნველყოფა;
- ✓ ეთიკის კომისიის იურისტების საქმისწარმოების პროცესის მართვა;
- ✓ ყოველთვიურად მიმდინარე საქმეების სტატისტიკაზე მუშაობა;
- ✓ ყოველთვიურად საქმეების კლასიფიკატორის წარმოება;
- ✓ ასოციაციის ჟურნალისთვის მასალების მომზადება;
- ✓ ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდისთვის შესაბამისი ინფორმაციის მოძიება/მომზადება და განთავსების მიზნით, პასუხისმგებელი პირისთვის გადაგზავნა;
- ✓ საერთო კრებისთვის წლიური ანგარიშის მომზადება;
- ✓ საქართველოს უზენაეს სასამართლოში ასოციაციის წარმომადგენლობა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში;
- ✓ ეთიკის კომისიის იურისტების დისციპლინის და საქმიანობის მონიტორინგი;
- ✓ ეთიკის კომისიის თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილება, სამუშაო დატვირთულობის კონტროლი და ფუნქციების პერიოდული ანალიზი;
- ✓ საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სახის ანგარიშების მომზადება;
- ✓ კომისიის გასვლითი შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება;
- ✓ ეთიკის კომისიის მიმდინარე საქმეების ელექტრონული ცხრილის წარმოება;
- ✓ ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამაში მუშაობა;
- ✓ კომპეტენციის ფარგლებში ასოციაციაში შემოსულ კორეპონდენციებზე პასუხების მომზადება;
- ✓ საჭიროებისამებრ და კომპეტენციის ფარგლებში, ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება.

დანართი N3 ***(პროექტი)***

სამუშაო აღწერილობა

საშტატო ერთეული: ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი
სტრუქტურული ერთეული: ეთიკის კომისიის აპარატი
ექვემდებარება: ეთიკის კომისია/აღმასრულებელი მდივანი (შინაგანაწესის ფარგლებში)
სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი (საჭიროებისამებრ დამატებით)
სამუშაო დრო: სრული განაკვეთი

ძირითადი ფუნქციები:

- ✓ ეთიკის კომისიის თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილება, სამუშაო დატვირთულობის კონტროლისა და ფუნქციების პერიოდული ანალიზის კოორდინაცია;
- ✓ ეთიკის კომისიის იურისტების საქმისწარმოების პროცესის კოორდინაცია;
- ✓ ეთიკის კომისიის აპარატის თანამშრომელთა საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- ✓ ეთიკის კომისიის აპარატის თანამშრომელთა კვლაიფიკაციის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა;
- ✓ ეთიკის კომისიის გაძლიერების მიზნით მიმდინარე და განხორციელებული პროექტების კოორდინაცია და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

- ✓ ეთიკის კომისიის აპარატის სახელით შემოსულ კორესპონდეციაზე პასუხის გაცემა;
- ✓ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
- ✓ შემოსული საჩივრების რეგისტრაციაში დროული გატარებისა და საბუთბრუნვის კოორდინაცია;
- ✓ საერთო კრებისთვის წლიური ანგარიშის მომზადების კოორდინაცია;
- ✓ ყოველთვიურად მიმდინარე საქმეების სტატისტიკისა და საქმეების კლასიფიკატორის წარმოების სიზუსტის უზუნველყოფა;
- ✓ ინფორმაციის მოძიება კომისიის პრეცედენტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე განხილვის სხდომების ორგანიზება და საქმეებზე გადაწყვეტილების პროექტების მომზადება;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული თემატიკის მიხედვით, შემოსულ საქმეებზე პასუხის პროექტის დროული მომზადება და ადრესატთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- ✓ მოქალაქეებთან კომუნიკაციაში ჩართულობა და კომუნიკაციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- ✓ ეთიკის კომისიის სხდომების ორგანიზაციული უზრუნველყოფის კოორდინაცია და შესაბამისი დოკუმენტაციით თუ საჭირო მასალებით უზრუნველყოფა;
- ✓ ეთიკის კომისიაში არსებული დისციპლინური საქმის მონაწილე პირებთან კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მხარეებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა;
- ✓ კომისიაში არსებულ საქმეებზე არქივის წარმოების კოორდინაცია;
- ✓ ეთიკის კომისიის მიმდინარე საქმეების ელექტრონული ცხრილის წარმოების მონიტორინგი;
- ✓ ასოციაციის ჟურნალისთვის ეთიკის კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული მასალების მიწოდების უზრუნველყოფა;
- ✓ ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდისთვის ეთიკის კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება პასუხისმგებელი პირისთვის;
- ✓ საქართველოს სასამართლოებში ასოციაციის წარმომადგენლობა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში;
- ✓ კომისიის, კოლეგიის თავმჯდომარის ან სხვა უფლებამოსილი წევრის მითითებით სხვა ნებისმიერი დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საჩივრის განხილვასთან.